მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ იცნობდა სურის (ყურანის თავის) დასასრულს მანამ, სანამ მას არ გამოეცხადებოდა სიტყვები " სახელითა ალლაჰისა მოწყალისა შემწყალებლისა''/ბისმილლაჰი-რრაჰმანი-რრაჰიიმ/

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: "მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ იცნობდა სურის (ყურანის თავის) დასასრულს მანამ, სანამ მას არ გამოეცხადებოდა სიტყვები " სახელითა ალლაჰისა მოწყალისა შემწყალებლისა''/ბისმილლაჰი-რრაჰმანი-რრაჰიიმ/."
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) განმარტავს, რომ წმინდა ყურანის სურები (თავები) ალლაჰის მოციქულზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდმოევლინებოდა, და ის არ იცნობდა მათი დასრულებისა და ერთმანეთისგან განცალკევების შესახებ, სანამ მასზე არ გარდმოევლინებოდა: "სახელითა ალლაჰისა მოწყალისა შემწყალებლისა". ეს ნიშნავდა, რომ წინა სურა დასრულდა და იწყებოდა ახალი სურა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65051

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee